



საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია
GEORGIAN NATIONAL COMMUNICATIONS COMMISSION

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია

მონიტორინგის შედეგები

(29.09.2018 – 28.10.2018)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგის მეორე შუალედურ ანგარიშს აქვეყნებს, რომელიც 2018 წლის 29 სექტემბრიდან 29 ოქტომბრამდე პერიოდს მოიცავს.

საანგარიშო პერიოდში მონიტორინგი 41 სამაუწყებლო არხს, 37 ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებულ გაზეთსა და საერთო ლიცენზიის მქონე რადიომაუწყებლებს ჩაუტარდა.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანს წარმოადგენს:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;
- ე) საზოგადოებრივი აზრის კვლევები/გამოკითხვები;

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მედია მონიტორინგს 29 მონიტორი ახორციელებს. მონიტორინგში კომისიაში დასაქმებულ პირებთან ერთად, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულები მონაწილეობენ, რომლებიც მონიტორინგის დაწყებამდე სპეციალურად მომზადდნენ.

მონიტორინგის პროცესში დეტალური ანალიზი განხორციელდა სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში, ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. დაკვირვების საგანია ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, კომისია სწავლობს ყოველ კონკრეტულ საკითხს და ატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია ინფორმაცია ახალი ამბების პროგრამებში საარჩევნო სუბიექტებისათვის პირდაპირ და ირიბად დათმობილი დროის შესახებ. პირდაპირ დათმობილი დროის ფარგლებში ანალიზდება შემთხვევები, როდესაც საარჩევნო სუბიექტი/კანდიდატი უშუალოდ საუბრობს/მონაწილეობს გადაცემაში, ირიბად დათმობილი დროის ფარგლებში, გაანალიზებულია მაუწყებლის მიერ საარჩევნო სუბიექტზე/კანდიდატზე, მათ მხარდამჭერებზე საუბრისთვის დახარჯული დრო.

„ქართული ოცნება“ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ მმართველმა პარტიამ მხარდაჭერა გამოუცხადა დამოუკიდებელ კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს, მონიტორინგის შედეგებში ცალ-ცალკეა ჩაშლილი საინფორმაციო გამოშვებებში სალომე ზურაბიშვილისთვის და „ქართული ოცნებისთვის“ დათმობილი დრო.

მონიტორინგის შედეგებში ინფორმაცია ჩაშლილია გენდერულ ჭრილშიც. კერძოდ, ცალკეულ მაუწყებლებზე საინფორმაციო გამოშვებების ფარგლებში ქალი და კაცი პოლიტიკოსებისათვის დათმობილი ჯამური დრო.

წინასაარჩევნო გარემო, დარღვევები და რეკომენდაციები:

საანგარიშო პერიოდში კომისიის მხრიდან სამი ძირითადი საკითხი გამოიკვეთა:

- საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებისას მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტის დარღვევა;
- წინასაარჩევნო დებატების განთავსებასთან დაკავშირებული საკითხები;
- კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ დარეგისტრირებული ე.წ. ტექნიკური კანდიდატების საარჩევნო კამპანია;

საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნების საკითხები – საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 51-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრის კვლევის **გამოქვეყნებისას**, მაუწყებელმა შემდეგი ინფორმაცია უნდა მიუთითოს: ორგანიზაცია, რომელმაც ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა; საზოგადოებრივი აზრის კვლევის დამკვეთი, ან დამფინანსებელი; კვლევაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და თანამიმდევრობა; საველე კვლევის ჩატარების დრო; გამოკითხულთა რაოდენობა და შერჩევის მეთოდი; რა არეალში, ან რა კატეგორიის ადამიანებში ჩატარდა შერჩევა; ეფუძნება, თუ არა კვლევა ყველა გამოკითხულის აზრს; იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებმაც უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე, არ გასცეს კითხვას პასუხი, ან რომელთა გამოკითხვაც ვერ მოხერხდა; შერჩევის ზომა; ცდომილების ფარგლები; ინფორმაცია სხვა ნებისმიერი ფაქტორის შესახებ, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა შედეგებზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივი აზრის კვლევის გამოქვეყნებისას სავალდებულო ინფორმაცია არ მიუთითა და, შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა შემდეგი მაუწყებლების მიმართ: შპს „ტელეკომპანია პირველი“, შპს „ტელეკომპანია კავკასია“, შპს „ტელერადიო კომპანია თრიალეთი“, შპს „ტელეიმედი“, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“, შპს „სტუდია მანეტრო“, ააიპ „არასამეწარმეო მედია კავშირი ობიექტივი“. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები წარედგინა შესაბამის საქალაქო და რაიონულ სასამართლოებს.

კომისიამ მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „თავისუფალი საქართველოს“ პრეზიდენტობის კანდიდატის კახა კუკავას საჩივრები განიხილა. საჩივრებში სამი ძირითადი მოთხოვნა იყო წარმოდგენილი: წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამების განუთავსებლობა, წინასაარჩევნო დებატებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და წინასაარჩევნო პერიოდში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებსა და არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებულ გადაცემებში (მათ შორის ახალი ამბების პროგრამები) მონაწილეობის უზრუნველყოფა.

კომისიამ აღნიშნულ საკითხზე 2018 წლის 18 და 25 ოქტომბერს საჯარო სხდომაზე იმსჯელა და წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამების განუთავსებლობის გამო შპს „ტელეიმედის“ და შპს „სტუდია მანეტროს“ მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმები შეადგინა. რაც შეეხება დებატების პროგრამაში მონაწილეობის საკითხს, მხარეს განემარტა, რომ აღნიშნული საკითხის განხილვას კომისია საარჩევნო პერიოდის გასვლის შემდგომ დაუბრუნდება და იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლების მიერ უზრუნველყოფილი არ იქნება კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის დებატების პროგრამაში მონაწილეობა, მათ მიმართ კანონით გათვალისწინებულ ზომებს გაატარებს. ამასთან, მხარეს განემარტა, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამებსა და არჩევნების გაშუქებასთან დაკავშირებულ გადაცემებში მაუწყებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის მიერ საჩივრის შეტანა ხდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის

2009 წლის 12 მარტის №2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ გათვალისწინებულ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოში¹.

წინასაარჩევნო დებატები – საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, საერთო მაუწყებელმა, რომელიც გადაწყვეტს წინასაარჩევნო კამპანია საკუთარ ეთერში გააშუქოს, წინასაარჩევნო დებატები უნდა გადასცეს არადისკრიმინაციულად და ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მონაწილეობით. საანგარიშო პერიოდის მონიტორინგმა გამოავლინა, რომ მთელ რიგ მაუწყებლებს ან არ განუთავსებიათ წინასაარჩევნო დებატები ან მათ მიერ განთავსებულ დებატების პროგრამებში მონაწილეობა არ მიუღიათ ყველა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს. წინასაარჩევნო დებატების განთავსების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად, კომისიამ მაუწყებლებს შესაბამისი ახსნა-განმარტებების წარმოდგენის მიზნით მიმართა². მაუწყებლებისაგან მიღებული პასუხების შესწავლის შედეგომ კომისია გაატარებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ დარეგისტრირებული ე.წ. ტექნიკური კანდიდატების საარჩევნო კამპანია - საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, საერთო ეროვნული მაუწყებელი ვალდებულია თანაბრად და არადისკრიმინაციულად განათავსოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ისე, რომ ერთი საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამს არ აღემატებოდეს.

საანგარიშო პერიოდში სხვადასხვა მაუწყებლის ეთერში განთავსდა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამები, რომლებიც სხვა საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევის ხელშეშლას ემსახურებოდა, ამავე პარტიების მიერ ტელეკომპანიებში წარდგენილი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა არ ემსახურებოდა მათივე საპრეზიდენტო კანდიდატების არჩევის ხელშეწყობას და არ მოუწოდებდა ამომრჩეველს მათი მხარდაჭერისკენ. გარდა ამისა, რიგი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტები მხოლოდ სხვა საარჩევნო სუბიექტების არჩევის ხელშეწყობ წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამებს ანთავსებდნენ.

საანგარიშო პერიოდში (28.08-29.08) აღნიშნული ფაქტები დაფიქსირდა შემდეგი საარჩევნო სუბიექტების მხრიდან:

1. მიხეილ ანთაძე - „მომრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“ - ანთავსებდა სალომე ზურაბიშვილის არჩევისთვის ხელისშემშლელ რეკლამებს.

¹ საჩივართან დაკავშირებით მაუწყებელმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს საჩივრის მიღებიდან 72 საათის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გასაჩივრდება თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში, ეს უკანასკნელი საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას ღებულობს საჩივრის მიღებიდან 72 საათის განმავლობაში.

² კომისიის 2018 წლის 07 ნოემბრის N04/3626–18 წერილი.

2. ზვიად ბაღდავაძე - „სამოქალაქო პლატფორმა ახალი საქართველო“ - ანთავსებდა სალომე ზურაბიშვილის არჩევისთვის ხელისშემშლელ და გრიგოლ ვაშაძის არჩევისთვის ხელისშემწყობ რეკლამებს.
3. ზვიად იაშვილი - „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ - ანთავსებდა სალომე ზურაბიშვილის არჩევისთვის ხელისშემშლელ და გრიგოლ ვაშაძის არჩევისთვის ხელისშემწყობ რეკლამებს.
4. ზვიად მეხატიშვილი - „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ - ანთავსებდა სალომე ზურაბიშვილის არჩევისთვის ხელისშემშლელ და გრიგოლ ვაშაძის არჩევისთვის ხელისშემწყობ რეკლამებს.
5. ირაკლი გორგოძე - „მოდრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“ - ანთავსებდა დავით ბაქრაძის არჩევისთვის ხელისშემწყობ რეკლამებს.
6. ოთარ მეუნარგია - „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ - ანთავსებდა გრიგოლ ვაშაძის არჩევისთვის ხელისშემშლელ რეკლამებს.
7. ვახტანგ გაბუნია - „ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა“ - ანთავსებდა კახა კუკავას არჩევისთვის ხელისშემწყობ რეკლამებს.
8. აკაკი ასათიანი - „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“ - ანთავსებდა კახა კუკავას არჩევისთვის ხელისშემწყობ რეკლამებს.
9. გელა ხუციშვილი - „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“ - ანთავსებდა კახა კუკავას არჩევისთვის ხელისშემწყობ რეკლამებს.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება იმ კანონებს, რომლის მიხედვითაც საარჩევნო პროცესების ზედამხედველობას ახდენს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, ის საფრთხის შემცველია პოლიტიკური პლურალიზმისთვის და დისკრიმინაციულია რიგი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის მიმართ. კომისიას მიაჩნია, რომ კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ დარეგისტრირებული ე.წ. ტექნიკური კანდიდატების მხრიდან წინასაარჩევნო რეკლამის ამგვარი გამოყენება არღვევს სამართლიანობის პრინციპს და არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს. კერძოდ, სხვადასხვა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტს უფასო პოლიტიკური რეკლამისთვის კანონით მინიჭებული 3 საათში ერთხელ არაუმეტეს 90 წამის ნაცვლად, სხვა კანდიდატებთან შედარებით, რამდენჯერმე მეტი დრო ეთმობოდათ.

ე.წ. ტექნიკური კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსებასთან დაკავშირებული საკითხის შესწავლის მოთხოვნით კომისიას და სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ მიმართა. კერძოდ, ორგანიზაცია გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ზემოაღნიშნული ფორმით წინასაარჩევნო რეკლამის განთავსება უკანონო შემოწირულობას წარმოადგენს. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა, საკითხის შესწავლის მიზნით, კომისიისაგან გამოითხოვა ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების მიერ სხვა საარჩევნო სუბიექტების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ

განხორციელებული ფასიანი და უფასო სატელევიზიო რეკლამის განთავსების შესახებ. კომისიამ შესაბამისი ინფორმაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურს 2018 წლის 17 ოქტომბერს წერილობით მიაწოდა.

საანგარიშო პერიოდში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ გამოაქვეყნა განცხადება იმის თაობაზე, რომ „რუსთავი 2“-ის მიერ უფასო პოლიტიკური რეკლამის დროის გაზრდასთან დაკავშირებით კომისიის მიერ გაკეთებული განცხადება ექვეყნებ აყენებს მარეგულირებლის ინსტიტუციურ მიუკერძოებლობას და შეიცავს საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ნიშნებს მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის სასარგებლოდ.

მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, კომისიისათვის აღნიშნული განცხადება მიუღებელია. კერძოდ:

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-მა წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამის ლიმიტი, რომელიც ყოველ 3 საათში 7,5 წუთს შეადგენს, 17 სექტემბრიდან გაზარდა. „რუსთავი 2“-მა 2018 წლის 17 სექტემბრიდან 21 სექტემბრამდე უფასო პოლიტიკურ რეკლამას ყოველ 3 საათში 10 წუთი, 2018 წლის 21 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე - 14 წუთი, ხოლო 26 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე კვლავ 10 წუთი დაუთმო.

ვინაიდან, შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის მიერ მიღებულ იქნა უპრეცედენტო გადაწყვეტილება უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის ლიმიტის გაზრდის თაობაზე, კომისიამ იმ მიზნით, რომ პოლიტიკური პლურალიზმისთვის არ შექმნილიყო საფრთხე, რეკომენდაციით მიმართა მაუწყებლებს გაეთვალისწინებინათ მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები და მოუწოდა უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის საეთერო დრო სამართლიანად, თანაბრად და არადისკრიმინაციულად გადაენაწილებინათ თითოეულ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე ისე, რომ ერთი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი სარეკლამო დრო 90 წამზე მეტი არ ყოფილიყო, რაც ემსახურება ყველა კვალიფიციური და არა ერთი საარჩევნო სუბიექტის ინტერესებს, როგორც ამას „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ უთითებდა.

საერთო ეროვნული მაუწყებლის მიერ უფასო პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის სავალდებულო ლიმიტის მნიშვნელოვნად გაზრდას, ასევე, შესაძლოა გამოეწვია კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების მიერ ფასიანი პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამის შესყიდვის მოთხოვნის შემცირება, რაც უარყოფითად აისახებოდა შედარებით მცირე ბაზრის წილის მქონე მაუწყებლებზე, განსაკუთრებით კი რეგიონალური მაუწყებლების ფინანსურ შემოსავლებზე.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კიდეც ერთი განცხადება წინასაარჩევნო რეკლამას ეხებოდა, რომლის თაობაზეც კომისიას მაუწყებლებმა შეკითხვებით მიმართეს. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხზე რამდენჯერმე

დეტალური განმარტება გაკეთდა (28.09.2018³; 01.10.2018⁴), კომისიას მიაჩნია, რომ საზოგადოებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხის კიდევ ერთხელ განმარტებაა საჭირო.

რეკლამის, რომლის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს წინასაარჩევნო/პოლიტიკური რეკლამა, საკითხები რეგულირდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონით იკრძალება არასათანადო და არაეთიკური რეკლამის განთავსება. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს მის მიერ გადაცემული რეკლამის საქართველოს კანონმდებლობასთან და ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობა. მაუწყებელმა, როგორც რეკლამის გამავრცელებელმა, არ უნდა დაუშვას არასათანადო და არაეთიკური რეკლამის ეთერში განთავსება.

კომისიას „ტვ პირველმა“, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და ტელეკომპანია „იმედმა“ წერილობით მიმართეს, სადაც მაუწყებლები საარჩევნო სუბიექტების მიერ მათთან წარდგენილი ვიდეორგოლების კანონმდებლობასთან შესაბამისობისა და მათი უფასო პოლიტიკური რეკლამის სახით განთავსებასთან დაკავშირებით, კომისიის პოზიციას ითხოვდნენ.

კომისიამ 25 სექტემბერს მაუწყებლებს გაუგზავნა წერილი - პასუხი მაუწყებლების შეკითხვაზე, რომელიც ტელეკომპანიებს შეახსენებს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებს სამაუწყებლო წინასაარჩევნო/პოლიტიკურ რეკლამებთან მიმართებით.

შესაბამისად, უსაფუძვლო იყო არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება იმის თაობაზე, რომ მიმდინარე წლის 25 სექტემბერს მაუწყებლებისთვის გაგზავნილ წერილებში საუბარი იყო პოლიტიკური რეკლამის შინაარსის განხილვაზე, თითქოს კომისიამ უკვე იმსჯელა კონკრეტულ რგოლებთან დაკავშირებით და გარკვეული სახის დირექტივებიც გაუგზავნა მაუწყებლებს.

კომისიის მიერ გაკეთებული განცხადებები და მაუწყებლებთან გაგზავნილი წერილი ემსახურება იმ მიზანს, რომ წინასაარჩევნო მედია გარემო იყოს თავისუფალი, პლურალისტული და არ ჰქონდეს ადგილი ვინმეს მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას. ამასთან, მათი მიზანია რეგულირების სფეროში შემავალი სუბიექტების მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის პრევენცია, რაც ვერ შეფასდება როგორც ტელევიზიებისა და ოპოზიციური პარტიების ქმედებების შეზღუდვა, მითუმეტეს საარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად.

მაუწყებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, კომისია ვალდებულია განიხილოს საკითხი. შესაბამისად, მაუწყებლის მიერ სამაუწყებლო

³ <http://gncc.ge/ge/news/press-releases/saqartvelos-komunikaciebis-erovnuli-komisia-axalgazrda-iuristta-asociacii-mier-gavrcelebul-gancxadebas-pasuxobs.page>

⁴ <http://gncc.ge/ge/news/press-releases/komunikaciebis-erovnuli-komisia-arasamtavrobo-organizaciebis-gancxadebebs-pasuxobs.page>

რეკლამებთან დაკავშირებული „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული რეგულაციების დარღვევის საკითხის განხილვა არავითარ შემთხვევაში არ სცდება კომისიის უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთან, კომისიის მიერ კანონით მასზე დაკისრებული ფუნქციის შესრულება დაუშვებელია შეფასდეს როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხე.

საპრეზიდენტო კანდიდატები არაპოლიტიკურ გადაცემებში - კომისიას მიაჩნია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის სამართლიანად, მიუკერძოებლად და დაბალანსებულად გაშუქების მიზნით, მნიშვნელოვანია მაუწყებლებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქების დროს იმ სახელმძღვანელო რეკომენდაციებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილებით დამტკიცებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“ და გაითვალისწინონ, რომ საარჩევნო პერიოდში კანდიდატის, ან პარტიის წარმომადგენლის მონაწილეობა იმ პროგრამაში, რომელიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები, ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.

მაუწყებლების მხრიდან პრეზიდენტობის კანდიდატებს პოლიტიკური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა შემდეგ არაპოლიტიკურ გადაცემებში მიეცათ:

რუსთავი 2: გრიგოლ ვაშაძე და შალვა ნათელაშვილი მონაწილეობდნენ გადაცემაში „**ვანოს შოუ**“.

„ტელეიმედი“: საანგარიშო პერიოდში ზურაბ ჯაფარიძე მონაწილეობდა გადაცემაში „**ლამის შოუ**“, სალომე ზურაბიშვილი მონაწილეობდა გადაცემაში „**რა დროს ძილია**“ და „**იმედის დილა**“, დავით ბაქრაძე მონაწილეობდა გადაცემაში „**რა დროს ძილია**“ და „**იმედი დღე**“, კახა კუკავა მონაწილეობდა გადაცემაში „**იმედის დღე**“.

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის წინასაარჩევნო პერიოდის შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება კომისიის მედია მონიტორინგის მესამე ანგარიშის ფარგლებში.

ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მონიტორინგის შედეგები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი – საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართული ოცნებას – 18.8%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს – 11.5%, სალომე ზურაბიშვილს – 10.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 29.6%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს – 19.3%, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 15.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საანგარიშო პერიოდში პოლიტიკურ გადაცემას „**დღის თემა**“ სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (ხუთჯერ), გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (სამჯერ), დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველო (ორჯერ), ზურაბ ჯაფარიძე – გირჩი (ერთხელ).

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ეთერში განთავსდა დებატების პროგრამა „**პრეზიდენტის არჩევნები-2018**“. აღნიშნული გადაცემის ფარგლებში, დებატები შედგა: გიორგი ლილუაშვილს, მიხეილ სალუაშვილსა და კახაბერ ჭიჭინაძეს შორის; კახა კუკავას და ზურაბ ჯაფარიძეს შორის; კახა კუკავას, კახაბერ ჭიჭინაძეს და ბესარიონ თედიაშვილს შორის; თეიმურაზ შაშიაშვილს, ბესარიონ თედიაშვილს, გიორგი ლილუაშვილს, მიხეილ სალუაშვილსა და კახაბერ ჭიჭინაძეს შორის; ვახტანგ გაბუნias, აკაკი ასათიანს, კახა კუკავასა და ლევან ჩხეიძეს შორის; მიხეილ სალუაშვილს, თეიმურაზ შაშიაშვილს და ბესარიონ თედიაშვილს შორის; ვახტანგ გაბუნias, აკაკი ასათიანს და გელა ხუციშვილს შორის; გრიგოლ ვაშაძეს, დავით ბაქრაძეს და სალომე ზურაბიშვილს შორის; დავით უსუფაშვილს, კახა კუკავას და ლევან ჩხეიძეს შორის.



ახალი ამბების გადაცემაში „**მთაბე**“ ინტეგრირებულია 10-წუთიანი ბლოკი „პრეზიდენტის არჩევნები“, სადაც მოწვეული იყვნენ შემდეგი საპრეზიდენტო კანდიდატები: გელა ხუციშვილი, კახაბერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ნონიკაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, თამარ ცხორაგაული, გიორგი ლილუაშვილი, კახა კუკავა, თეიმურაზ შაშიაშვილი, გიორგი ანდრიაძე, მიხეილ სალუაშვილი, დავით უსუფაშვილი, დავით ბაქრაძე, ზურაბ ჯაფარიძე.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


„საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gpb.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური

რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.




Prime Time



სხვა დრო





საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 28.2%, ქართულ ოცნებას – 23.1%, სალომე ზურაბიშვილს – 16.6%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს – 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 40%, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 31.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„აჭარის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „**მთავარი აჭარაში**“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (სამჯერ), ქართული ოცნება (სამჯერ), დავით ბაქრაძე – ევროპული დემოკრატიები (ერთხელ) და დავით უსუფაშვილი–თავისუფალი დემოკრატიები (ერთხელ).



„აჭარის“ ეთერში განთავსდა დებატების პროგრამა „**წინასაარჩევნო დებატები**“. აღნიშნული გადაცემის ფარგლებში, დებატებში მონაწილეობა მიიღეს: ბესარიონ თედიამშვილი, კახაბერ ჭიჭინაძე, თეიმურაზ შაშიაშვილი, გიორგი ლილუაშვილი, გელა ხუციშვილი და კახა კუკავა. გადაცემის წამყვანის განცხადებით, სხვა საარჩევნო სუბიექტებმა უარი განაცხადეს გადაცემაში მონაწილეობაზე.



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, აჭარის ტელევიზიის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


აჭარის ტელევიზიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.ajaratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური

რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 45.8%, ქართულ ოცნებას – 18.7%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს – 15.6%, სალომე ზურაბიშვილს – 15.1%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 43.3%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს 22.1%, ქართულ ოცნებას – 14.8%, სალომე ზურაბიშვილს – 10.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „არჩევანი“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველო (ხუთჯერ), გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ოთხჯერ), ქართული ოცნება (სამჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (ორჯერ) და შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია (ორჯერ). ამავე გადაცემაში დებატები შედგა ქართული ოცნების, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია და ევროპულ საქართველოს შორის; გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია, ქართული ოცნების, დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატების და დავით ბაქრაძე – ევროპულ დემოკრატებს შორის; ქართული ოცნების, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია, დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველოს, შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტიისა და დავით უსუფაშვილი – თავისუფალ დემოკრატებს შორის.

„რუსთავი 2“-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას „კვირის აქცენტები“ სტუმრობდნენ: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ოთხჯერ), დავით ბაქრაძე – ევროპული

საქართველო (ორჯერ), ქართული ოცნება (ორჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ) და შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია (ერთხელ).

„რუსთავი 2“-ის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამა „P.S“-ში განთავსებულ სიუჟეტებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ოთხჯერ), დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველო (ოთხჯერ), სალომე ზურაბიშვილი (სამჯერ), ქართული ოცნება (ორჯერ), შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტული პარტია (ორჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ).



„რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულ პროგრამა „შაბათის კურიერი“ ინტეგრირებულია სტუმრის ბლოკი, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ორჯერ), დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველო (ორჯერ), ქართული ოცნება (ორჯერ), სალომე ზურაბიშვილი (ერთხელ) და დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ).



საანგარიშო პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატები მონაწილეობდნენ გასართობ გადაცემაში, კერძოდ: გრიგოლ ვაშაძე და შალვა ნათელაშვილი მონაწილეობდნენ გადაცემაში „ვანოს შოუ“.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„რუსთავი 2“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rustavi2.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„რუსთავი 2“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „ტელეიმედი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 35.7%, სალომე ზურაბიშვილს – 22.5%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს - 18.9%, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 13.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 30.8%, სალომე ზურაბიშვილს – 28.8%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს - 17.3%, გრიგოლ ვაშაძე–ძალა ერთობაშია – 16.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

სამაუწყებლო არხი „ტელეიმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ–პოლიტიკური პროგრამები „პირისპირ“ და „იმედის კვირა“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „იმედის კვირა“ დრო დაეთმო: ქართული ოცნება (ორჯერ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ორჯერ), ზურაბ ჯაფარიძე - გირჩი (ორჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველო (ერთხელ) და სალომე ზურაბიშვილი (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „პირისპირ“ სტუმრობდნენ: ქართული ოცნების (ოთხჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველო (სამჯერ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ორჯერ), ზურაბ ჯაფარიძე - გირჩი (ორჯერ) და დავით უსუფაშვილი - თავისუფალი დემოკრატები (ორჯერ). ამავე გადაცემაში დებატები შედგა ერთხელ დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველოს და ქართული ოცნების წარმომადგენლებს შორის.


საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების პროგრამაში „ქრონიკა“ ინტეგრირებული იყო სტუმრების ბლოკი, რომლის ფარგლებში დებატები გაიმართა ქართული ოცნების და დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველოს შორის.



საანგარიშო პერიოდში პრეზიდენტობის კანდიდატები მონაწილეობდნენ გასართობ გადაცემებში, კერძოდ: ზურაბ ჯაფარიძე მონაწილეობდა გადაცემაში „ღამის შოუ“ (ერთხელ), სალომე ზურაბიშვილი მონაწილეობდა გადაცემაში „რა დროს ძილია“ (ერთხელ) და „იმედის დილა“ (ერთხელ), დავით ბაქრაძე მონაწილეობდა გადაცემაში „რა დროს ძილია“ (ერთხელ) და „იმედი დღე“ (ერთხელ), კახა კუკავა მონაწილეობდა გადაცემაში „იმედის დღე“ (ერთხელ).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იმედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„იმედის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.imedi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იმედის“ ეთერში ერთი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა სხვა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „ტელეკომპანია პირველი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 29.9%, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 21.6%, სალომე ზურაბიშვილს – 15.6%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს -15.5%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 29.3%, ქართულ ოცნებას – 26.6%, სალომე ზურაბიშვილს – 17.4%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს 16.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„ტვ პირველის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „რეაქცია“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია

(ხუთჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველო (ოთხჯერ), ქართული ოცნების (ოთხჯერ), პატრიოტთა ალიანსის (ორჯერ), დავით უსუფაშვილი - თავისუფალი დემოკრატების (ერთხელ) და დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის (ერთხელ) წარმომადგენლები.

„ტვ პირველის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას **„პოლიტმეტრი“** სტუმრობდნენ: დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველო (სამჯერ), ქართულ ოცნების (სამჯერ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ორჯერ), დავით უსუფაშვილი - თავისუფალი დემოკრატების (ორჯერ) და დამოუკიდებელი კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის (ერთხელ) წარმომადგენლები. აქედან დებატში მონაწილეობა მიიღეს ქართული ოცნების (ორჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველო (ერთხელ) და გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ერთხელ) წარმომადგენელმა.

„ტვ პირველის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა **„ლევან ჩხაიძეს და დიანა ტრაპაიძის დღის ამბები“**. აღნიშნულ გადაცემაში დრო დაეთმო: ქართულ ოცნების (ოცდაოთხჯერ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (თორმეტჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველო (თერთმეტჯერ), დავით უსუფაშვილი - თავისუფალი დემოკრატების (თერთმეტჯერ), პატრიოტთა ალიანსის (სამჯერ), ზურა ჯაფარიძე - გირჩის (ორჯერ) და დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილის (ორჯერ) წარმომადგენლებს.

„ტვ პირველის“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამას **„ხალხის პოლიტიკა“** სტუმრობდნენ: ქართული ოცნების (სამჯერ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ორჯერ), პატრიოტთა ალიანსის (ერთხელ) და დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველოს (ერთხელ) წარმომადგენლები. აქედან დებატში მონაწილეობა მიიღეს ქართული ოცნების (ორჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველოს (ერთხელ) და გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ერთხელ) წარმომადგენლებმა.

საანგარიშო პერიოდში „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა გადაცემა **„პირველები“**, რომელშიც დრო დაეთმო ქართული ოცნების (ხუთჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველოს (სამჯერ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ორჯერ) და დავით უსუფაშვილი - თავისუფალი დემოკრატების (ერთხელ) წარმომადგენლებმა. აქედან დებატში მონაწილეობა მიიღეს ქართული ოცნების (ხუთჯერ), დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველოს (სამჯერ) და გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ორჯერ) წარმომადგენლებმა. ამასთან, საანგარიშო პერიოდში გადაცემაში **„პირველები“** დრო დაეთმო კახა კუკავა - თავისუფალი საქართველოს და დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველოს საარჩევნო პროგრამების წარდგენას.

საანგარიშო პერიოდში „ტვ პირველის“ ეთერში გავიდა გადაცემა **„ანალიტიკა“**, სადაც დრო დაეთმო ქართულ ოცნებას (ორჯერ).



ტვ პირველის გადაცემაში „საქმიანი დილა“ დრო დაეთმო: დავით ბაქრაძე - ევროპული საქართველოს (ექსპერტ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ოთხჯერ), ქართულ ოცნებას (ოთხჯერ), დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს (სამჯერ), შალვა ნათელაშვილი - ლეიბორისტულ პარტიას (ორჯერ), დამოუკიდებელ კანდიდატს ბესარიონ თედიაშვილს (ორჯერ), ზურა ჯაფარიძე - გირჩი (ორჯერ), კახა კუკავა - თავისუფალ საქართველოს (ორჯერ), კახაბერ ჭიჭინაძეს (ერთხელ), პატრიოტთა ალიანსს (ერთხელ), თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზას (ერთხელ), დავით უსუფაშვილი - თავისუფალ დემოკრატებს (ერთხელ).



ამავე პერიოდში გადაცემაში „საქმის კურსი“ დრო დაეთმო: დავით ბაქრაძე - ევროპულ საქართველოს (სამჯერ), დამოუკიდებელ კანდიდატს სალომე ზურაბიშვილს (ორჯერ), ქართულ ოცნებას (ორჯერ), გრიგოლ ვაშაძე - ძალა ერთობაშია (ორჯერ), ზურა ჯაფარიძე - გირჩი (ერთხელ).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ტვ პირველს“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ტვ პირველის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tvpirveli.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ტვ პირველის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







**შპს „პალიტრა TV“
(Palitra News)**

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 26.9%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს - 24.1%, სალომე ზურაბიშვილს – 16.7%, ქართულ ოცნებას – 15.7%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 29.3%, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 21.4%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს - 17.8%, სალომე ზურაბიშვილს – 13.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„პალიტრა News“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „360“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (რვაჯერ), გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ოთხჯერ), პატრიოტთა ალიანსი (ოთხჯერ), დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველო (ოთხჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (სამჯერ) და კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო (ერთხელ).



გადაცემას „7vs1“ საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა ქართული ოცნება (სამჯერ).



არჩევნების დღეს პალიტრა News-ის ეთერში განთავსდა გადაცემა „არჩევნები“ 2018 რომელსაც სტუმრობდა ქართული ოცნება და პატრიოტთა ალიანსი.


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „პალიტრა News“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„პალიტრა News“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.palitratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„პალიტრა News“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „სტუდია მანესტრო“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 22.6%, ქართულ ოცნებას – 21.1%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს 19.2%, სალომე ზურაბიშვილს – 19.17%, ზურაბ ჯაფარიძე - გირჩი - 12.61%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 21.8%, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 21.1%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს 20%, სალომე ზურაბიშვილს – 18.9%, ზურაბ ჯაფარიძე - გირჩი - 13.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).



„მანესტროს“ ეთერში განთავსებულია საინფორმაციო გამოშვება **„ახალი ამბები-მთავარი თემა“**, რომელშიც ინტეგრირებულია სტუმრის ბლოგი. საანგარიშო პერიოდში სტუმრის ბლოგს სტუმრობდნენ: ქართული ოცნება (შვიდჯერ), ზურაბ ჯაფარიძე - გირჩი (ერთხელ), დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველო (ერთხელ).




გადაცემას **„პოლიტიკური დეტექტორი“** სტუმრობდა „ქართული ოცნება“ (ორჯერ).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, სტუდია „მანესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

სტუდია „მანესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია www.maestro.ge და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„მაესტროს“ ერთი კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის გარდა, სხვა კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ძირითადად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.





შპს „იბერია TV“⁵

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 31.9%, სალომე ზურაბიშვილს – 15.1%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს – 12.9%, შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტულ პარტიას – 12.2%, ქართულ ოცნებას – 10.8%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 32.7%, შალვა ნათელაშვილი – ლეიბორისტულ პარტიას – 15.8%, სალომე ზურაბიშვილს – 15.6%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს – 15.3%, ქართულ ოცნებას – 10.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„იბერია TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „ვახო ხუზმიაშვილის თავისუფალი სივრცე“, „პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად“, „ინტერვიუ ვანიჩკასთან“, „დიალოგი ლუბა ელიაშვილთან“, „პოლიტიკური ალგორითმი“, და „ფაბრიკა“.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „**ვახო ხუზმიაშვილის თავისუფალი სივრცე**“ სტუმრობდნენ: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ხუთჯერ), შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია (ორჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ)

გადაცემას „**დიალოგი ლუბა ელიაშვილთან**“ საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა: შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია (ერთხელ).

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „**პოლიტიკა არჩილ გამზარდიასთან ერთად**“ სტუმრობდნენ გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (სამჯერ), ზურაბ ჯაფარიძე – გირჩი (ერთხელ), დავით ბაქრაძე – ევროპული დემოკრატები (ერთხელ).

გადაცემას „**პოლიტიკური ალგორითმი**“ საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ერთხელ).



საანგარიშო პერიოდში გადაცემას „**ფაბრიკა**“ სტუმრობდა გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ხუთჯერ).



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „იბერია TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


⁵ იბერია ტვ-ს მიერ 2018 წლის 15 ოქტომბრიდან დროებით შეწყდა მაუწყებლობა

„იბერია TV“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.iberiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„იბერია TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







აიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას - 42.3%, საქართველოს პატრიოტთა ალიანსს - 28.9%, სალომე ზურაბიშვილს - 12.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას - 43.7%, საქართველოს პატრიოტთა ალიანსს - 29.6%, სალომე ზურაბიშვილს - 11.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „**დღის სტუდია**“ სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (ათჯერ), ქართული ოცნება (ოთხჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (სამჯერ), კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო (ორჯერ), ზურაბ ჯაფარიძე – გირჩი (ერთხელ), ბესარიონ თედიაშვილი (ერთხელ), გიორგი ანდრიაძე (ერთხელ), ლევან ჩხეიძე (ერთხელ), კახაბერ ჭიჭინაძე (ერთხელ), თეიმურაზ შაშიაშვილი (ერთხელ).

გადაცემას **სადამოს სტუდია** სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (რვაჯერ), ქართული ოცნება (რვაჯერ), კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო (ორჯერ), გიორგი ანდრიაძე (ორჯერ), ვახტანგ გაბუნია (ორჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (ერთხელ), თეიმურაზ შაშიაშვილი (ერთხელ), გიორგი ლილუაშვილი (ერთხელ), სალომე ზურაბიშვილის (ერთხელ) და გრიგოლ ვაშაძეს წარმომადგენლები (ერთხელ).


გადაცემას **ღამის სტუდია** სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (ცხრაჯერ), კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო (ოთხჯერ), ქართული ოცნება (ორჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (ორჯერ), სალომე ზურაბიშვილი (ერთხელ), თეიმურაზ შაშიაშვილი (ერთხელ).



გადაცემას „სოციალური თემატიკა“ სტუმრობდნენ: საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (ორჯერ), ქართული ოცნება (ორჯერ), ვახტანგ გაბუნია (ორჯერ), გიორგი ანდრიაძე (ერთხელ), გელა ხუციშვილი (ერთხელ) და გიორგი ლილუაშვილი (ერთხელ).



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არც ერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„ობიექტივის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.obieqtivi.net) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„ობიექტივის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **მეტწილად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „ტელეკომპანია კავკასია“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 33.9%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს - 19.8%, სალომე ზურაბიშვილს – 11.5%, ქართულ ოცნებას – 11.4%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია – 38.4%, დავით ბაქრაძე – ევროპულ საქართველოს - 21%, ქართულ ოცნებას – 14.6%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

„კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „სპექტრი“ და „ბარიერი“.


საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სპექტრი“ სტუმრობდნენ კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო (ორჯერ) და ზურაბ ჯაფარიძე-გირჩი (ერთხელ).



გადაცემას „ბარიერი“ სტუმრობდნენ გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია (ცხრაჯერ), დავით უსუფაშვილი – თავისუფალი დემოკრატები (რვაჯერ), ქართული ოცნება (ოთხჯერ), ზურაბ ჯაფარიძე-გირჩი (ოთხჯერ), დავით ბაქრაძე – ევროპული საქართველო (ორჯერ) და კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო (ერთხელ). ამავე გადაცემაში შედგა დებატები ქართული ოცნებისა და დავით უსუფაშვილი – თავისუფალ დემოკრატებს შორის, ქართული ოცნებისა და გრიგოლ ვაშაძე – ძალაერთობაშია შორის, დავით ბაქრაძე – ევროპული დემოკრატებისა და დავით უსუფაშვილი – თავისუფალ დემოკრატებს შორის, გრიგოლ ვაშაძე – ძალა ერთობაშია და დავით უსუფაშვილი – თავისუფალ დემოკრატებს შორის.



მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, „კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

„კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია პოლიტიკური რეკლამის/აგიტაციისათვის გამოყოფილი დროის და საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

„კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს **ძირითადად** ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება.







შპს „სტარგიზია“

საუკეთესო დროს საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 20.7%, სალომე ზურაბიშვილს – 14.6%, შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 14%, გრიგოლ ვაშაძე-ძალა ერთობაშია – 13%, დავით ბაქრაძე-ევროპულ საქართველოს - 12.4%, კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო – 11.3%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).

საუკეთესო დროის მიღმა საინფორმაციო გამოშვებებში დრო დაეთმო: ქართულ ოცნებას – 19.6%, სალომე ზურაბიშვილს – 14.2%, გრიგოლ ვაშაძე-ძალა ერთობაშია – 14%, შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია – 13.4%, დავით ბაქრაძე-ევროპულ საქართველოს - 13.2%, კახა კუკავა-თავისუფალი საქართველო – 11.2%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს 10%-ზე ნაკლები (იხ. დიაგრამა).


